ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

8
აპრილი
1989

„ხატოვნად რომ ვთქვათ, გარდაქმნა ჰგავს კაცს, რომელიც აღმართში მიაგორებს ვეება ქვის ლოდს. აი, იგი შუა გზამდე მივიდა და საკმარისია წაიფორხილოს, რომ ლოდი მოსწყდება, დაქანდება და გზად ყველაფერს გადათელავს. ასევე ჩვენც უკან დასახევი გზა არა გვაქვს. უნდა ვიაროთ მხოლოდ წინ, მაღლა და მაღლა, და ამ წინსვლა-განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის შემოქმედ ინტელიგენციას, რომლის ავტორიტეტულ და დამაჯერებელ სიტყვასაც ყურად იღებს ხალხი".

გაზეთებიდან

ნოდარ მალაზონია 60

როგორც ნახატზე მინაწერიდან ჩანს, ეს მეგობრული შარჟი **ელგუჯა ამაშუკელს** 1965 წლის 23 მარტს დაუხატავს.

ნოდარი და ელგუჯა მაშინ ჩემთან სტუმრად იყვნენ. ეს არ იყო რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, ჩვენ იმ დროს ხშირად ვიკრიბებოდით...

— აი, ოცი წლის შემდეგ სამოცი წლის მალაზონია! — ეშმაკური ღიმილით წარმოთქვა ელგუჯამ და იქვე პასტით უცებ შესრულებული ნახატი გამომიწოდა.

როცა ნახატს დავხედე, მეც გამეცინა, გამეცინა იმიტომ, რომ „ბაბოჩკიანი“ ნოდარის ბებრული ამბიციური გამომეტყველების ასე ოსტატურად შესრულებული შარჟი ვნახე, რომელსაც ახლდა მინაწერი: **„საქართველოს სახალხო მხატვარი ნოდარ მალაზონია“** (1965 წელს ნ. მალაზონია ჯერ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი იყო) ნახატს კიდევ უფრო კოლორიტულს ხდიდა.

ელგუჯას ერთ-ერთი პრიორიტეტი „გულთმისნობაც“ არის. ოცი წლის შემდეგ (ახლა უკვე ამაშუკელის თავმჯდომარეობის „ეპოქაში“) ერთი თუ მან ზუსტად იწინასწარმეტყველა (1983 წელს ნოდარ მალაზონიას საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა), მეორეში ნამდვილად შეცდა. დამეთანხმებით, რომ სამოცი წლის ნოდარ მალაზონია ჯერ აგრე ბებრულად ნამდვილად არ გამოიყურება! აი, რომ ეთქვა, „ოთხმოცი წლისო“, ეს უკვე სხვა საქმე იყო, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ მაშინ პირველში არ შეცდებოდა?

ცხოვრება ჯერ კიდევ წინ არის და ვინ იცის, ვის რა ლამაზ სიურპრიზს უმზადებს!..

ხშირად გაგვეწბილებინე ასე, ნოდარ!

ზურაბ ლეჟავა

„ნიანგის“ სალაღობო მილოცვა თავის ღვაწლმოსილ მხატვარ-რედაქტორს, საქართველოს სახალხო მხატვარს ნოდარ მალაზონიას

ვერ წაგასწარი ვერასდროს ან დასვენებულს, ან მოცლილს,
თავაუღებელ შრომაში წამოგაკარვია საამოცი!..
შენმა პირველმა ნახატმა ორმოცდაერთი წლის წინათ
ჩემს ერთ-ერთ გვერდზე ვარსკვლავად გაიბრწყინ-გაიციმციმა!
ოცდათორმეტი წელია მემსახურები ერთგულად,
ამ ბნის მანძილზე შენითაც გავზრდილვარ, გავნათებულვარ!
კაი უმას, ფერმწერს, გრაფიკოსს, პლაკატისტს, ფოტოხელოვანს
გამშვენებს სიბრძნე, სიდინჯე, რაინდობა და ქველობა!
იუმორისტს და ჟურნალისტს, თეატრალს, კარიკატურიტს
გამშვენებს სითბო, სიკეთე, დიდსულოვნება ქართული!
დეკორატორს და ორატორს, პატრიოტს, გამომგონებელს
გამშვენებს ენამზეობა და გამჭრიახი გონება!
შენს პლაკატებს და აფიშებს, ბუკლეტებსა და ალბომებს
აქვთ სულ სხვა მომხიბლაობა, სხვა ელვარება, სხვა დონე!
გამოფენებით მოჰფინე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა
და შენმა შემოქმედებამ ყველგან ზღვა ხალხი შეყარა!
გაქვს უამრავი მედალი, პრიზი, სიგელი, დიპლომი!..
არ გიძებნია დიდება, დიდებამ თვითონ გიპოვნა!
მე შენი ნახატებიდან განსაკუთრებით ვალმერთებ
ციკლს „ჩემი სოფლის სურათებს“, პლაკატებს „რიჩარდს“,
„ალმეტელს“!
ხარ დიდოსტატი ხუმრობის, ლაღობისა და ექსპრომტის!..
როცა დაიწყო გარდაქმნა, დაიწყო მათი ექსპორტიც!
მალე ორ წიგნად გამოვიცემ შენს მეექვსე წიგნს „მანსარდას“,
ერთ დღეში გაიყიდება, არ გაჩერდება არსადა!
გაყავს დიდებული ცოლ-შვილი, სახელოვანი ორი ძმა,
ანთიბართ საქართველოსთვის და გახსოვთ, ვისი გორის ხართ!
მზე შვილიშვილზე ამოგდის, — ნოდარი ჰქვია იმასაც, —
და ისე ხატავს (ჯერ ყრმაა), გაჯობებს, ვიცი წინასწარ!
პირველი მეგობარი ხარ მზიური ნოდარ დუმბაძის,
როგორც მას სძულდა, ისე გძულს ბოლალატე და ცრუ კაცი!
შენ გაგფორმე, მოხატე მისი უკვდავი წიგნები!
ნოდარს უძღვენი ღიმილით და ცრემლით სავსე სიტყვები!
მთელ მსოფლიოში ქართული კულტურის მშვენიერების
რეკლამის მოწყობისათვის თავაკაცობ ფირმა „ბენეფისს“!
სასიქადულო გურულო (თლა ზუსტად — ოზურგეთელო),
კიდევ ათას წელს ქვეყანა ასთე კაცურად გეთელოს,
გემოგზაურნოს, გეწეროს, გეღოს, გებეჭდოს, გეხატოს!..
აღარ გეკონდეს საათი სატირალ-საკომენდანტო!..
დასასრულ, ნოდარ ძვირფასო, უმორჩილესად ამას გთხოვ:
კვლავ მიპატრონე, არ დამთმო, არ მიმატოვო არასდროს!

„ნიანგის“ დავალებით — **ზაურ გოლეგაძე**

მიუხედავად იმისა, რომ მარიონეტების თეატრში სეზონი დახურული იყო, რეზომ ერთ კვირა დღეს თავის დასს მოუხმო. ჩვენ კარგა ხნის წინათ მოფიქრებული საქმით ვიყავით გართული, როცა კარები გაიღო (მე სპექტაკლის აფიშაზე ვმუშაობდი) და დარბაზში რამდენიმე სტუმარი შემოვიდა. თუმცა ბნელოდა (მხოლოდ სცენა იყო განათებული), მე მაშინვე შევიცანი ერთ-ერთი მათგანი.

რეზო გაბრიაძის „მარიონეტებს“ ჰერლუფ ბიდსტრუპი ესტუმრა თავისი ქალიშვილითა და შვილიშვილით. რეზო სტუმრებს მიესალმა და სთხოვა იქვე სავარძელზე დაბრძანებულიყვნენ.

როცა გიდმა სტუმრები გაგვაცნო, მე, ისე რომ ჰერლუფის გამონვდილი ხელი არ გამიშვია, ღიმილით ვკითხე:

— გახსოვთ ჩვენი ტურნე დასავლეთ საქართველოში ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ?

— ოცი წლის წინათ! — მოკლედ მომიჭრა ბიდსტრუპმა ისე, რომ ოდნავადაც არ შეცვლია გამომეტყველება. მხოლოდ, გაჩხინკულმა შვილიშვილმა კი, რომელიც ბებიას გვერდზე ეკვროდა და მუხლებამდე შემოწკეპილი ბახუსის ჯიხანები ეცვა, თავაზიანად გამიღიმა. გოგონა სოცრად გავდა დედამისს.

ოცი ნელი! მართლაც, რა დრო გასულა! მე მაშინ ორმოცისაც არ ვიყავი, ჰერლუფი კი, მე რომ ახლა ვარ, იმაზე ცოტა ახალგაზრდა იყო. იგი ახლაც თითქოს ისევ ისეთია, მაგრამ ოდნავ მხრებში მოხრილი და ძველებურად ისევ ისეთივე უტყვი და ცივი.

აი, ამ შეხვედრამ მომაგონა ჩვენი ოცი წლის წინანდელი „ფოლკლორული კრუიზის“ კურიოზებით სავსე სწორედ ის ამბავი, რომელიც ქვემოთ მინდა მოგიყვეთ.

ერთ დღეს მხატვართა კავშირში დამიბარეს (მაშინ ჩვენი კავშირი რუსთაველზე, რესტორან „დარიალის“ თავზე იყო).

თავმჯდომარის ოთახში ბატონ უჩა ჯაფარიძესა, ზურაბ ლეჟავასა, ჟანი მეძმარიაშვილისა და სხვა კოლეგებს შორის ორი უცხოელი სტუმარიც იყო.

მალე ყველაფერი გაირკვა. ზურაბი, ჟანი, გიგლა ფირცხალავა, შურა ბანძეკაძე, მე და „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი ლია წილოსანი ჰ. ბიდსტრუპს და მის მეუღლეს სიმონეთში დავით კლდიაშვილის დაბადების 90 ნლის საიუბილეო ზეიმზე უნდა გავყოლოდით და გვემზადებინა.

„ვოიაჟი“ ქარფოლისა და იმერეთის პეიზაჟებით, რიკოთის უელენტეინოვა და ანალი სიმონეთის ჩოხოსანი იმერლების სიმღერებით და ცეკვა-თამაშით, ჩვენს კრუიზს იმთავითვე ძალიან ემოციურ ხასიათს ხდიდა.

— ფოლკლორ, ფოლკლორ! — გიგლა წინასწარ აწონებდა მარშრუტს სტუმრებს.

ჰ. ბიდსტრუპს მანამდე ნახატებით ვიცნობდი, რომლებიც ნაკლებად მომწონდა. ახლა კი, როცა გავიცანი, ტიპური ჩრდილოეთევროპელი გამოდგა — ნაკლებად ემოციური, ჩუმი და ცოტა პირქუშიც კი. მახსოვს, რა არ გააკეთა გიგლამ იმისათვის, რომ იგი როგორმე გაემხიარულებინა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. არც ჩვენს ნაქებ პეიზაჟებს აღუფრთოვანებია იგი მაინცდამაინც (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა). ბიდსტრუპისათვის ერთადერთი საზრუნავი და საპატრონო მისი ჩიბუხი იყო, რომელსაც მთელი გულმოდგინებით ელოლიავებოდა და გაუთავებლად აფშუკუნებდა.

უვარგისმა გზამ, სიცხემ, მტვერმა და დანჯღრეულმა ტრანსპორტმა — მხატვართა კავშირის ძველმა „პობედამ“ და გიგლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოსკვიჩმა“ — უსაშველოდ მომქანცველი და დაუსრულებელი გახადა ყველაფერი.

შუადღე უკვე გადასული იყო. თაკარა მზე თერჯოლას ცეცხლს უკიდებდა, ჰერლუფის მეუღლემ „ჰოტელში“ წუთიერი შესვენება ითხოვა, რათა სული მოგვეთქვა და იქიდან მხნედ გავქანებულიყავით სიმონეთისაკენ.

თერჯოლის „ჰოტელი“ მოვიკითხეთ და სტუმრებს წინ გავუძეხი (სასტუმრო, თუ არ ვცდები, სკოლის ტიპის სამ თუ ოთხსართულიან ახალ შენობაში იყო მოთავსებული). გულმა ,რაღაც მიგრძნო და თადარიგისათვის დავწინაურდი. სადარბაზოში შევვარდი და სასტუმროს პატრონს დავუწყე ძებნა. შესვლისთანავე ოფლისა და შარდის მძიმე, სულისშემხუთავი სუნი მეცა. ყველა სართულისა და ყველა ოთახის კარ-ფანჯარა ღია იყო (ალბათ ორპირი ქარისათვის), სიცხისაგან გათანგული მობინადრენი კი ტიტვლები უგონოდ ეყარნენ. სხვადასხვა ხმაში შეუწყობელი ხვრინვა და ხროტინი უფრო „კოლორიტულს“ ხდიდა იქაურობას. არავის ჩემთვის არ ეცალა და არც არავის უკითხავს, თუ რად დავძრწოდი ან ზემოთ, ან ქვემოთ.

— ადმინისტრატორი! მორიგე! მორიგეე!.. — ვიყვირე, როცა შევატყვე, საქმეს ცუდი პირი უჩანდა.

— რაშია, ბატონო, საქმე?! რა გაყვირებს ნეტაი ამხელას?! — მომესმა საიდანღაც ახალგამოღვიძებული კაცის ხმა.

— ადმინისტრატორი! — ისევ ვიყვირე მე.

— აგერ ვარ, ბატონო!.. კი მარა, რაია ნეტაი კიდევ ასეთი?!.— მომესმა ისევ იგივე ხმა, ფეხების ტყაპუნი და დერეფნის ბოლოს ფეხშიშველი კაცი ქვედა საცვლების ამარა გამოლასლასდა.

— პატრონი არ ჰყავს ამ სასტუმროს?!

— სიმონეთში არიან, ბატონო, ზეიმზე. — მითხრა მან და მთქნარებით და თავის ფხანით ჩემს წინ გაჩერდა.

— თქვენ ვინ ხართ?

— მე, ბატონო, მორიგე ვარ! — მერე შემხედა, ხელები გაშალა და გაიღრიჯა. — დეიწვა, ბატონო, ქვეყანა!.. ბოდიში, ეხლავე გადავიცვამ რასმეს და...

— ერთი კარგი ოთახი მჭირდება სასწრაფოდ!

— სადაა, ბატონო, ოთახი!.. ვერ ხედავთ, ხალხი იატაკზე რომ ყრია?..

— წყალი ან ტუალეტი?!

— წყალი, ე, „უმივალნიკშია“ ეგერ, ეე!.. — მითხრა მორიგემ და ხელი დერეფნის ბოლოსკენ გაიშვირა, სადაც „მარმარილოს პირსაბანი“ იდგა (ალბათ გახსოვთ, მაშინ პოპულარული, ზედან წყლის ჭურჭელდაკიდებული პირსაბანი და ქვემოთ, კარადაში შედგმული ვედრო ნაბანი წყლისათვის!..).

მე „უმივალნიკისაკენ“ გავქანდი და ონკანი შემოვატრიალე.

— ეს რა, უწყლოდ?!. — იქიდანვე გამოვძახე მორიგეს.

— მოვიტან, ბატონო, წყალს!..

— არიქა, ჩქარა! — ვიყვირე მე, როცა თვალი მოვკარი კიბეებზე ამომავალ სტუმრებს.

— ახლავე, ბატონო! — დამპირდა მორიგე და სადღაც გაქრა.

არა მგონია, საჭირო იყოს აგიხსნათ, თუ რა ჭირის ოფლი მასხამდა მაშინ.

— აქეთ, მეგობრებო! — ვთქვი ქართულად და შევეცადე სტუმრები ცოტა ხნით აივანზე გამეტყუებინა. ბატონი ჰერლუფი და ქალბატონი ჰილდა შემოვიდნენ [illegible]არა, ერთი შექანება შექანდნენ, მაგრამ დასავლურმა ალ[illegible]დამ არც აქ უმტყუნა მათ, „მოწამლული ზონა“ მტკიცედ [illegible]ნთქვაშეკრულებმა გაიარეს და, როგორც შევატყვე, მხოლოდ აივანზე ამოისუნთქეს.

ბიჭებმა თვალწარმტაცი პეიზაჟისაკენ გაიშვირეს ხელი და თავიანთი აღტაცება ვერ დაუმალეს სტუმრებს. მე ისევ დერეფანში შევვარდი, დავინახე თუ არა კაცი წყლით სავსე ვედროთი, პირსაბანს ვეცი და ჭურჭელს თავი ავხადე, მორიგემ ხვნეშახვნეშით ერთი ვედრო წყალი თქრიალით ჩაუშვა შიგ, მერე „თეთრი“ ხელსახოცი მომაწოდა და კომპლიმენტს დაელოდა.

— კაცი ხარ, მაგრამ ახლა, თუ ძმა ხარ, ნუ გადამირევ სტუმრებს, — დაყვავებით ვუთხარი მას და ისევ აივანს მივაშურე, სტუმრებს ღიმილით შევხედე და პირისაბანთან მივიპატიჟე. რომ შემოვბრუნდი, ელდა მეცა: ვილაც ბანჯგვლიანი დათვკაცა დავინახე (ეტყობოდა, წყლის ხმაზე გამოეღვიძა), მან საგულდაგულოდ შეავსო თავისი უშველებელი ტორები ჩემი სისხლის ასად მოპოვებული წყლით, მერე ქარიშხალივით ჩაუბერა შიგ (ალბათ წყალი რომ შადრევანივით გაშლილიყო), „პრუ, პრუ, პრუუ“ — დაიძახა და უსწრაფესი მოძრაობით ხელები ჯერ სახეზე, მერე კისერზე, მკერდზე, მუცელზე და ზურგზე გადაიტყაპუნა და ახლა უკვე საამურ ხმაზე ისევ „პრუუ, პრუ, პრუუ“ დააყოლა, მერე იატაკზე დაღვრილ გუბეში შიშველი ფეხები შეათამაშა და ონკანს შეუშვირა თავი.

ახლა ორი უსწრაფესი ამოცანა გამიჩნდა გადასაჭრელი: ერთი — წყალი გადამერჩინა და მეორე — ეს „ბანჯგვლიანი დათუნია“ მომეცილებინა ისე, რომ სტუმრებს არ დაენახათ.

დაყოვნება კატასტროფის ტოლფასი იყო. უცებ ადგილიდან გიჟივით მოვწყდი, როგორც მოსისხლე მტერს, ისე ვეცი „დათუნიას“ და ტუნტულა კეფაში ვთხლიშე.

— ნიფხავი, ნიფხავიც გაგერეცხა იქნებ?! — დავცეცხლე მე.

— ააა... ჩაიბურდღუნა „დათუნიამ“ და გვერდზე გადაბარბაცდა.

დავაგვიანე! როცა მოვიხედე, ქალბატონი ჰილდა და ბატონი ჰერლუფი ჩემს გვერდით იდგნენ.

ორივემ შესაშური სიმშვიდით გახედა „დათუნიას“, რომელიც თავისი ოთახისაკენ გაძუნძულდა, მერე ჰერლუფმა ნამიერი დაყოვნების შემდეგ მეუღლე მიიპატიჟა ხელსაბანთან. ქალბატონმა ჰილდამ ოდნავი თავის გაქანებით იუარა. ბიდსტრუპი ისევ შეყოვნდა, შემდეგ ერთი ნაბიჯი ისე გადადგა, რომ წყლის გუბეში ფეხი არ ჩაედგა, ფრთხილად შემოაბრუნა ონკანი, თითები დაისველა, ფრთხილადვე მოისვა სველი თითები შუბლზე, თავაზიანად დამიკრა თავი და „ჰოტელის“ ახროტინებულ-აშმორებული დერეფანი ოდნავ აჩქარებული ფეხაკრეფით დატოვა ცოლ-ქმარმა.

როცა სიმონეთში ჩავალწიეთ, ზეიმი უკვე დამთავრებული იყო და ხალხი იშლებოდა. ჩვენ დავათვალიერეთ მუზეუმი და იქვე, სახლის გვერდით, ჩრდილში მოვკალათდით. ბიდსტრუპებს სახეზე მიტკლის ფერი ედოთ. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ნიავმაც დაუბერა და ცოტა აგრილდა კიდეც.

გიგლამ სადღაც „შემოდგომის აზნაურს“ მიაკვლია და ბიდსტრუპებს გააცნო:

— ფოლკლორ, ფოლკლორ! — ბერიკაცს მართლა უხდებოდა ჩოხაზე თეთრი წვერი, მაგრამ უძიროების ნაცვლად წინდებში ჩატანებულ შარვალზე კალოშები რომ ეცვა, ეს ვერაფერი „ფოლკლორი“ გამოდგა.

ახლა ჩვენ ისევ თერჯოლაში უნდა დავბრუნებულიყავით სადღესასწაულო ბანკეტზე.

თერჯოლის საბანკეტო დარბაზში ალბათ ათას კაცამდე სტუმარ-მასპინძელი უსხდა სუფრას (ჩვენ აქაც დავაგვიანეთ). შესულებიც არ ვიყავით, საპატიო სტუმრები მასპინძლებმა ხელიდან გამოგვგლიჯეს და სადღაც განსაკუთრებული ადგილისაკენ გააქანეს. ჩვენ კი, ვინც როგორ მოვახერხეთ, ისე შევუერთდით პურისმჭამელებს. ლუკმა არ გადამდიოდა ყელში, სულისშემხუთავი სიცხე და უჰაერობა აუტანლად შემაწუხებელი იყო. სუფრა კი დუღდა და გადმოდუღდა, ათას კაცს ათი ათასი კაცის ღვინო და ხორაგი ელაგა წინ. სადღაც იქითა მხარეს სასოწარკვეთილ ბიდსტრუპებს მოვკარი თვალი.

ამაო გამოდგა ყველა ჩვენი ცდა — გადაგვერჩინა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩვენი სტუმრები, ხოლო როცა დავინახეთ, თუ როგორ ჩააპირქვავებინეს რამდენიმე ჩაის ჭიქა ღვინო ჰერლუფს და მერე მეტრიანი ყანწიც შეაჩეჩეს ხელში, მივხვდი, ჩვენი საქმე უკვე დაღუპული იყო.

სუფრაზე ტაშის გრიალში უზარმაზარი ხონჩით შემწვარი ირემი შემოიტანეს, რომელსაც ვიღაცამ ბარკალი აახლიჩა და ჩვენს სტუმრებს წინ დაუდო.

როგორც იქნა, ბიდსტრუპები „მოვიპარეთ“ და თბილისისაკენ გამოვქანდით. მე არ შევუდგები იმის დაწვრილებით მოყოლას, თუ რა შავი დღე დაგვადგა გზაზე, სანამ თბილისში ჩამოვაღწევდით, — ამას თვითონვე მიხვდებით.

ცოცხალმკვდარი ბატონი ჰერლუფი შუაღამით ძლივს ავიტანეთ სასტუმრო „თბილისის“ მეოთხე სართულზე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ (დარჩენილ დღეებში მე ისინი აღარ მინახავს) დილაუთენია მათთან ჩვენი ორი თვალსაჩინო კოლეგა მისულა, ღონემიხდილი ბიდსტრუპები გაუღვიძებიათ და „მოსარჩენად“ თათრის მოედანზე ხაშის საჭმელად წაუყვანიათ.

— ჯერ ბნელოდა, როცა დუქანში ჩავედით, — მომიყვა კოლეგა, — როცა ქალბატონმა ჰილდამ და ბატონმა ჰერლუფმა იქაურობას თვალი მოავლეს და ნახეს, თუ როგორ ხვრეპდნენ რაღაც თეთრ წვენს, გაქონილ ჯამებში რომ ესხა, როცა ჩვენს სუფრაზე ოთხი უზარმაზარი შოთი პური, შავი ალუმინის დაგრეხილი კოვზები, ორი ბოთლი კონიაკი თავისი ლიმონათებითა და ერთი ჩაის ჭიქა ნიორი დაალაგეს, მაშინ კი მივხვდი, რანაირი სისულელე ჩავიდინეთ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო!..

ჰერლუფს ყინულისებური სიფათით ბოდიში მოუხდია და გარეთ გასულა.

* * *

— თქვენ პირველად ბრძანდებით საქართველოში? — ვკითხე ბიდსტრუპის შვილიშვილს.

— დიახ! იცით, ბაბუაჩემი დაჟინებითი თხოვნით ჩამოვიდა ამჟამად საქართველოში! — მერე გოგონა გაჩერდა და კვლავ განაგრძო, — მე იმდენი კარგი მსმენია თქვენს ქვეყანაზე, რომ... — იგი ისევ შეჩერდა, — მინდოდა ყველაფერი ჩემი თვალით მენახა!..

მე მას თვალებში შევხედე. იგი საოცრად უშუალო და გულწრფელი მომეჩვენა.

ნოდარ მალაზონია
1980 წ.

ოღონ ეს ჰენეციაში?

წყალგამტარ არხის წყალობით ლამის გადვიქცე მეტივედ,
ამდენ ტბორსა და ტალახში შენკენ ძლივს გამოვეტიე!..
მიშველე, ძმაო „ნიანგო“, ნიაღვრის მკლავს აგონია,
შენით სიმართლეს მივაგნო! — ეს ბევრგან გამიგონია!
თუ წვიმს, ნიაღვარს მივყავარ, გვალვაში წყალი მწყურია,
რამდენჯერ ვიქეც ბოცმანად, ჩაძირულ დიოსკურიად!..
არადა წვიმას რა დალევს, როცა ღრუბელი ღრუბელობს,
ან უნდა მყავდეს ნავი და ან ცხენი მყავდეს უბელო,
რომ ცოცხლად სადმე გავასწრო, სახლი დამირჩეს კუნძულად.
ამდენმა ნიაღვარებმა რამდენჯერ ამაძუნძულა!..
დიდი ხანია, ვწერივარ წყალწაღებულთა სიაში,
ვერ გამიგია, სად ვცხოვრობ, ონში თუ ვენეციაში?
ნეტავი თვალით განახვათ ეს არხი — ეს ამაზონი,
ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, უნდა დავტოვო მეც ონი!
უნდა დავტოვო სახლ-კარი, მამაპაპური კერია,
არადა ამ წყეულ არხით სიკეთე არ მიწერია!
რა გახდა არხის გაწმენდა, განა სრუტეა ლამანშის?!.
ბარემ მეც მასზე მიმაკრან, როგორც რაჭული ლავაში!

დანიელ ხახიაშვილი
(ქ. ონი)

ნახ. გ. პეტრიაშვილისა

— ყველს სადაც შოულობ, გასაგებია, მაგრამ ეს მაგნიტოფონის კასეტა სად იშოვე?

წკიპურტები

ერაოვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები ზესტაფონის „ავტოტექმომსახურებაში“

თავს ვიტყუებ, შენც მატყუებ, იმედიც მაქვს დიდი,
რომ მგონია ავტონაწილთ თავის ფასში ყიდი!
წაგლეჯ-ყვლეფა-ტაციობა ხომ ჩაბარდა წარსულს...
მაგრამ... დაშლილ მანქანაში ძლივსღა ვიჭერ ამ სულს.
ველარ ვუძლებ ძველი ძრავის ხველებას და ხროტინს,
მივალ გზებზე, ითესება „გაიკა“ თუ „ბოლტი“!..
გული მიაქვს გალეული საბურავის წრიპინს,
„სვეჩებ-პორშინ-კარბურატორს“ მოსდებია წირპლი!..

ვის უნახავს?

ორ ნელზე მეტია, რაც ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის წყალსადენი აშენდა, წყალი კი არ მოდის.

ვის უნახავს უნახავი მშენებლობის მსგავსი?
მიყრილ-მოყრილ თუჯის მილებს მოსდებია ხავსი!..
აღგვიმართეს წყლის კოშკები, დაგვინგრიეს გზები,
ყელ-პირ-ხახაამომშრალი ვიხედებით ზევით!..
ცუდად სძინავთ ეზოებში პირდაღებულ ონკანთ,
სანამ წყალი მოვიდოდეს, მოლოდინი მოგვკლავს!..
ანდა ეს ცრუ დაპირება დღეისა და ხვალის!..
მხოლოდ ძილში გვესიზმრება მოჩუხჩუხე წყალი!..

გავლით ხაშურ-ზესტაფონ-თერჯოლის ავტოსადგურში

შემოვირბინე სადგური, აქეთ და იქით გავვარდი,
ვერსად წყალი ვერ ვიპოვე, ამაო იყო ნავარდი!..
მერე მივადექ „წყალსა გაზიანს“,
ვსთქვი: „მივაყენებ ჯიბესა ზიანს!“
და „გაზიანმა წყალმა“, უგაზომ,
ბოლო მოუღო ჩემს აბაზიანს!..

გიორგი კაპანაძე

ნაკვესები

- **შრომას გაექცა და ოჯახი დაექცა.**
- **ქალაქურმა სითბომ სოფლის ბევრი კერა გააცივა.**
- **წიგნში ის არ იხედება, ვინც საქმეში ჩაუხედავია.**
- **ტრაბახით ტაბაკი არ გაივსება.**
- **ზურგსუკან ისეთი ბიძა ედგა, რომ ზურგის ქარს არ აკლებდა.**
- **დედას დაბადების დღე არ ეშლებოდა და ცოლს — ხელფასის.**
- **ოფლს ერიდებოდა, ნაოფლარს კი ეტანებოდა.**
- **ალმერთებდნენ იმ კაცს, რომელიც უღმერთოდ იქცეოდა.**
- **ალალი მჭადი სჯობია არამ მწვადს.**
- **მთლად ცოტნე თუ არა ხარ, ცოტათი მაინც მიბაძე!**
- **ცოლს არ ირთავდა, ოჯახი რთულიაო.**
- **ბავშვები სოფელში იბადებოდნენ და ქალაქის მოსახლეობა იზრდებოდა.**
- **შთამომავლობას მუხას უნადგურებდა მუხანათი.**
- **სხვის მონეულ ყაყაჩოს ყიდდა და ფულმა გააყოყოჩა.**
- **დიდი კაცის პატარა ნათესავიც დიდკაცობდა.**
- **მაგალითს ხსნიდა ოლია, გიას უწერდნენ ორიანს.**
- **ქვეყანა რომ დაღლიტა, ღმერთმა ნახა მაღლიდან.**
- **კუდი მდიდარს ეწვოდა და კუჭი — ღარიბს.**

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი)

ხელფასს უნდა ეყოს კაცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

სამწუხაროდ, ყველა როდი ფიქრობს ასე. ბევრი უჩივის ხელფასის სიმცირეს. საინტერესოა, რამდენი უნდა ჰქონდეს კაცს თვიური შემოსავალი, რომ ეყოს? ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა, რამეთუ ისევ ბრძენს უთქვამს: — მადა ჭამაში მოდისო!.. — სწორედ აქ მართებს ადამიანს თავშეკავება და ზომიერება!

მართალია, მე მცირეხელფასიანთა რიცხვს ვეკუთვნი, მაგრამ არასოდეს მიგრძნია ეკონომიკური გაჭირვება, არც არასოდეს დამიჩივლია!.. უფრო მეტიც, თავისუფლად მყოფნის ხელფასი თვიდან თვემდე და შავი დღისთვისაც ვინახავ რაღაცას!..

მთავარია, ყაირათიანი იყო, გონივრულად გაანაწილო შენი შემოსავალი, მცირე იქნება ის თუ დიდი, შენი ნაოფლარის ყადრი უნდა იცოდე!

სულ უბრალო რაღაცებში იხარჯება ფული ისე, რომ ვერც იგრძნობ.

აი, მაგალითად, მიდიხარ სამსახურში, რომელიც არც ისე შორსაა, შეგიძლია ფეხით გაისეირნო. მართალია, რა სახსენებელია ტრანსპორტის ფული, მაგრამ გარკვეული თანხა ხომ გეზოგება? ნათქვამია: ზღვა კოვზით დაილევაო!.. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტრანსპორტზე შეიძლება ნაცნობიც შეგხვდეს!..

ან კიდევ: ზაფხულის ცხელი დღეა, ბული ასდის ასფალტს!.. ყელი გიშრება!.. ამ დროს ჩაიარე მსოფლიოში სახელგანთქმულ ლაღიძის წყლებთან (მერე რა, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულია?), სადაც რიგი დგას, რიგი დგას იმ ხალხისა, რომლებიც ხელფასის სიმცირეს უჩივიან!..

მიუხედავად იმისა, რომ დიდია ცდუნება, გულგრილად განაგრძობ გზას და დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე წყლის მეტი რა შეგხვდება, რომ მოითქვა სული?!

ესეც დანაზოგია!..

ვთქვათ, გამოვიდა ახალი ფილმი, თავ-პირის მტვრევაა ბილეთებზე. უყურებ და გულში გეცინება: რა მოხდა ისეთი, ბოლოს და ბოლოს ფილმია!.. რაში ყრიან ამ ფულს?.. რა აუცილებელია ფილმის ნახვა, ხვალ სამსახურში დეტალურად გაარჩევენ ამ ფილმს ჩემი კოლეგები და თანამშრომლები, იმ გარჩევიდან გაცილებით მეტს გამოვიტან, ვიდრე ამ ფილმის ნახვიდან. მარტო ის რად ღირს, ირასა და ცირას მსჯელობას რომ მოვუსმენ!..

ასევე თავს ვარიდებ თეატრალურ ნარმოდგენებს. თეატრში საერთოდ არ დავდივარ, რადგან კინოსთან შედარებით თეატრის ბილეთის ფასი გაცილებით მეტია. მხოლოდ ერთხელ შევცდი, როცა რობერტ სტურუას „კავკასიური ცარცის წრეზე" შევედი!..

მახსოვს, როგორ მოვინონე მეორე დღეს სამსახურში თავი, — გუშინ ახალი სპექტაკლი ესა და ეს ვნახე-მეთქი!.. თურმე ნუ იტყვით, ჩემთვის ყოფილა ის სპექტაკლი ახალი!..

ჩემს მტერს, რაც მე კოლეგებმა და მეგობრებმა დღე მაყარეს, მენახა კი არა, ნეტავი საერთოდ მინა გამსკდომოდა!.. სპექტაკლმა აზრთა ისეთი სხვადასხვაობა გამოინვია, რომ კოლექტიურად ნავედით მის სანახავად, რადგან ჩვენს კოლექტივში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც არ ენახათ ეს დადგმა.

ნარმოდგენის დამთავრების შემდეგ ქუჩაში რომ გამოვედით, ბატონი ვანო ცარცში იყო ამოთხვრილი. ირამ მანიშნა: — შეხედე ბატონ ვანოს, როგორ ამოგანგლულა ცარცში, სად იშოვა ნეტავ?!. გამწარებულმა გული მოვიფხანე: — რა გიკვირს, კაცი „კავკასიურ ცარცის ნრეზე" იყო-მეთქი?!.

აქვე დავსძენ, რუსთაველის თეატრმა ხანგრძლივი რემონტის მერე სწორედ ამ სპექტაკლით გახსნა სეზონი. სპექტაკლზე არანაკლებ მაინტერესებდა რეკონსტრუირებული შენობის ნახვა!.. ბატონი ვანოც ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი კედლების მსხვერპლი გახდა!..

შევეშვათ თეატრსა თუ სხვა სულიერ საზრდოს, ნამდვილ საზრდოზე გადავიდეთ.

პირველი მაგალითი ასე დავიწყეთ: — აი, მიდიხარ სამსახურში!.. მოდი, ახლა ასე დავიწყოთ: — აი, შინ ბრუნდები სამსახურიდან!..

აი, შინ ბრუნდები სამსახურიდან, მაღაზიაში იყიდება მშვენიერი ვაშლი, რომელსაც ხალხი ყიდულობს. კარგი, ბატონო, იყიდე შენც, ნაიღე სახლში, მერე რა?!. ნამში შესანსლავენ ბავშვები. ხარჯი კი ხარჯად ნავა!..

პირდაპირ მებრალება, ბაზარში საოჯახო ჩანთებით დატვირთულ ხალხს რომ ვუყურებ!.. რა ამბავია, რა აუტყდათ ასეთი, კუჭი ვის არა აქვს?!.

ამას წინათ გვინდოდა ფხალეული გვქონოდა სადილად. ნავედი ბაზარში, ვიყიდე ჭარხალი, ზედაც არ შევხედე მწვანილს, რომელსაც ცეცხლის ფასი ედო!..

დიდი ამბავი, თუ მწვანილით არ შევკაზმავ ჭარხალს! ფრთებს ხომ არ ამომიყვანს ასი გრამი ქინძი და ოხრახუში?! ჭარხლის ფხალი მაინც ჭარხლის ფხალია, ფული კი ისევ გეზოგება!..

— მაარაოუნიიი!.. ესკიმო შაკოლადნიიიი! — ისე დაიღრიალებს ეზოში უცებ მენაყინე, რომ ლამის გული გაგისკდეს!.. ანრიალდებიან ბავშვები!.. მაგრამ მათ ხომ არ ავყვები ამხელა კაცი?!. რა არის ნაყინი, უბრალოდ სასიამოვნოა და მარგებელი!.. ყოველდღე რომ ეგ ვაჭამო ბავშვებს, მართლა რა ხელფასი მეყოფა?!.

„ხელფასს უნდა ეყოს კაცი!.."

ნოდარ ბარბაია



ნახ. ვ. კუციასი

უსიტყვოდ

„ფირალობა“ დავამთავრე
ჩემი,
თავს ალარ ვგრძნობ
გაყარდნილად,
კეტმდე!..
ჰე,
ეს უნდა
შეკაზმული ცხენი?
მმეიდოლბაში მოგახმაროთ
ღმერთმა!

• • •

ახლა
სიმართლეს
დიდი ლოზი
საპოხი წასცხეს,
ალარ ჭრიალეს
შიშის ლერძი —
თალილი ხუმბარით.
ეს მერამდენედ
შავ ბაზარზე
ყვიდი მე ამ ცხენს! —
არ ჩანს მუშტარი!..

• • •

არის მანქანაც,
თვითმფრინავიც,
არის რაკეტაც!..

დროის არქონამ,
რაიც ახლა ასე ხშირდება,
ისეთ უცნაურ ყაიდაზე
გადადგაკეთა,
რომ ნათესავიც ალარ გვინდა,
თუ არ გვჭირდებას!..

• • •

სუფრასთან ჯდომა
ყველამ იცის —
ერმა და ბერმა,
მაგრამ სუფრასთან
ქცევის წესი
არ იცის ბერმამ!

• • •

რაც გაჩნდა „მიწა“
და „მიწაზე
მზეთას სინათლე,
გაჯვირებულები ფოთოლივით
ჯდია სიმარსლეს!..

• • •

რა უფუჭებს კაცს გუნებას?
სულ უბრალო ამბავი:
ავეჯზე — ავადოლები,
ქუჩაში კი... ნაგავი!

• • •

რატომ მიჭირს მე შენკენ
გზის გაგნება?
რად გაყვითლდა
სიყვიარულის ბილიკი?
იმიტომ, რომ
მოდაშია ძაგება,
პირში ქება
და ზურგს უკან ქილიკი!..

• • •

როს ნორმად და ნიმუშად
ქვეყანაზე ფუღია,
მაშინ გრძნობა სათუთი
გაუხეშებულია!

• • •

ღვინის კეთების ოსტატობა
საზღვარს რომ გასცდა,

ქარმა ჭურასთავს გადაუარა
და... ნაბარბაცდა!..

• • •

არ ნიიწყმიდოს
სულის ცხონება,
შენზე ეფიქრობო,
იტყვის ნურაკინ!
ყველა თავისთვის
ინყობს ცხოვრებას,
ყველას თავისი
აქვს საზრუნავი!

• • •

ზოგის ცხოვრების, ყოფის
კომპონენტებია სამი:
ფული, დიპლომი, სპამი!

• • •

სეედის
ამ ტალახს
კეფაე ფიდხანს მოეზელეთ,
სხვათა დაგიზეთ
ბევრი რანდეობს!..
რქა რომ მოტყდება
სახარე მიზეერს,
იმას ფურიე კი
ალარ დაინდობს.

• • •

ეფიქრობ:
ერთ დროს
ალბათ ეს მზეც ჩაქრება,
მთვარეზე ხომ
ლაპარაკიც არა ღირს!
ჩვენ რაც ფეხით
ფოეღეთ მნვანე ბალახი, —

ლიდან ისეთ ეპიზოდი

ამაზე კი
გული მეთანაღრება!..
საოცარი
სიმპარი მაქეს ნანახი,
ნტბავი თუ ახდება?..

• • •

ზოგი აქ ეძებს ღეთის სახელს,
ზოგს კი იქ უნდა ცხონება!..
ერთი მითხარით, ვისა აქვს
დალალგებული ცხოვრება?!

• • •

ვეზვეეი ისეთ ძმაბიჭებს,
ისეთ ძმაბიჭებს, ძმაბიჭებს,
ვინც იციან, ფეხი მგლეკა და
ზედ იმ ნატკენზე მაბიჯებს!..
ასეთ ძმაბიჭებს, მითხარით,
როგორ არ მოვემსახურო?
ვინც ჩემს ჯიბეში დაძერება,
სულში თაგვივით ფათურობს!..
ჯიბე სქელი გაქვს? — კარგია!
არ გაქვს და — ეცემ ინვები!..
თუ გზაში გაპყეე, ხომ კარგი,
თუ დარჩი, დაავინდედები!

• • •

ძალაუფლებას
როცა ეკარგავ
ჩემს გინებაზე,
ეფიქრობ გარეგანი
„ეერსდფესის“
შეგორებაზე.

• • •

შემტევი სტილის პატრონ კაცს
არ უსინჯავენ პატრონობაზს!

• • •

მე ვენაცვალე
შეხსნილ არგანებს, —
შიგ მნოლ ყრის
ბოლო შეშით
ცაც რომ ეახლაბუსს!..

• • •

ერიტიკის ბასრი „მიეინინო“
საკმეენი შევუხიცინე!..
მოვიდა, მოკედა სიეილით:
— ნერე, იკითხე, იეინე!

• • •

არ გაიოცო, თუკი
ადრე დამაწყდეს ნერგი! —
ვეჭამე მარალი ფუთი,
მაგრამ ვერ ვიძმე ვერვინ!

• • •

შენ დაღწევი,
ვისაც გსურს, მაშინ,

ყველა ხის ძირში
სუფრას თუ გაშლი!..

• • •

კითხვა პირველი ჩემი,
მეგობ დროული თანაც:
ტრადიციული ძღვენი
რად გადაკეთდა ქრთამად?

• • •

მეზობელი? მართალია,
ბევრი მეტად კეთილია,
ბევრი ყრუა (ჩემსაგით) და
ბევრიც კიდევ კრეტინია.
ზოგი გუულ ხსნის,
ზოგი კიდევ
კარებგამოკეტილია!..
ზოგი არის ნალდი კაცი,
ქარშიც, ლხინშიც
გვერდით მდგომი,
შენს სატკივარს
თავისად თვლის,
თუნდაც იყოს
სულ სხვა ტომის.

ლიტერატურული კითხვა

ზოგი ტრაბახს,
ზოგი სმას თვლის
კარგ ბიეჭობად, რაინდობად,
ზოგი კიდევ ისეთია,
ერთ ნაბიჯზე არ ინდობა.
ღმერთმა ზოგ-ზოგს დაანათლა
ყვავობა და გუგულობა.
ზოგს ფული ელვის
და ზოგს კიდევ —
თვიდან თვემდე უფულობა!..
ზოგი ძალზე ჭკვიანია,
ზოგიც კიდევ — შეშლილია!..
დღეც და ღამეც მე მათი და
იმათ ჩემი ეშინიათ!
არც მე მძინავს,
არც მათ სძინავთ,
შიშით ახლოს ვერ გაუვლი!..
ზოგ მეზობელს
უნდა ვკითხო:
ძალლია თუ ყარაფული?

რატომ?

გარდაქმნას რომ
გაშლა უნდა ფართოდ,
ორი აზრი
არ არსებობს არსად!
კაპიტალიზმი
კიბერის ფასი, ამ დროს
რატომ ვყიდით

ფუფუ პურის ფასად?
სიაზლეებს
ვეიტანდეთ მყისვე,
ჭირს ხან ვმალავთ,
ხან სამზეოს გაგვაქვსს!..
მერე, გინდ რომ
მოვვეგებით, ისევ
სხვა ახალი,
უცხო ჭირი გვდაგავს!..

ეტალონური დასკვნა

ამ ტალონინი,
იმ ტალონინი,
სხვა ტალონინი,
საბოლოო ვარიანტი
დადგინდა:
უნდა ვიყოთ სისპეტაკის
ეტალონი,
ჭამა, სმა და ტანსაცმელი
რად გვინდა?!

ავადრცხი თუ ხოხობი?

„... ჩვენს სამონადირეო მეურნეობებსა და ნაკრძალებში მომრავლდა ხოხობი. ეს გამოიწვია იმან, რომ ხოხბების სანაშენე მეურნეობებში ყოველწლიურად 50.000-მდე ფრთა ხოხობი იჩეკება...“

საქართველოს მონადირეთა კავშირის XI ყრილობის მასალებიდან

ყოველისშემძლენნი მომრავლდნენ,
ვისზე სიტყვის თქმა არ
ძალგვიძს,
მათთვის მოშენდა ხოხბები,
მათთვის დაარსდა ნაკრძალიც!
მე თვითონ მონადირე ვარ,
მაგრამ არ ვიცი, რა ხდება,
მინდორში ფრინველს ვერ
ეხდავ,
ტყეში ნადირი არ მხდებას!..
მეურნეობა-ნაკრძალი
ზოგისთვის არის შედეევრი,
მე ახლოს რომ ჩავეკარო,
მაშინვე მიჭერს ეგერი!..
ალბათ მე უნდა ვიზრუნო,
რაც მართალია, მართალი,
შინ მოვამრაგო ხოხობი,
ვით შინაური ქათამი.
რომ მესტეფმრება სტუმარი,
შერამდენი თუ პროკოფი,
ავადრონო და მოვუკლა
შინ გამოზრდილი ხოხობი!..
არვინ ჩამთავლოთ უვიცად,
საქმე დავიწყე პირველად,
ინკუბატორი ვიშოვე,
ხოხბის კვერცხები ეი — ვერა!..
სიტყვა გვაქვს (ახლა
დაკრნნუნდი!),
ეი ქუხილის ინყვეს, ისეთი,
ამიტომ ვეღარ ფარგლებლთან
ვერანაირი სიკეთითი!..
ხელში ჩაგდებულ ტრიბუნას
(ამის მოსმენი ვართ ყველა!)
ვიყენებთ ბევრ შემოხვევაში
მხოლოდ ტყუილის სათქმელად!
ბევრი ვერ გადაეჩვია
პირად პარადულ პატაკებს,
მუნდირის დაცვის პრინციპით
ეგემაის შიგ ცხვირში გვაბაკებს!
თქმას ტრიბუნიდან ტყუილის
ანერხებს მხოლოდ „ტალანტი“,



რაც არის ღია ჭრილობა,
საერთო საქმის ღალატი!
დღეს პირდაპირი შეკითხვა
ითხოვს პასუხებს პირდაპირს
(გადასული ვარ ეზოზე,
ბევრი არ ხმარობს ბირდაპირს!)
რა უნდა ელაპარაკო! —
ხელთ აქვს ტრიბუნაც,
სადაეეე!..
გულახდილობის კალაპოტს
რიდისდა მივეცეთ სათავე?!
მეურნეობის მუშაკებს
მსურს ეკითხო სიბრძნის
მოხმობით:
ხოხბის საჩეკში პირველად
კვერცხი გაჩნდა თუ ხოხობი?
თუ კვერცხს ქალალდზე
არ ჩეკავთ
მაკინაციით, ოხრობით,
ან ნალდი კვერცხი სად ჯრის,
ან სად დადურნაცვს ხოხობი?

მატერიალური ცხოვრების დათმობა ფეუდარიზმისათვის

ო, რა ლალი
ვიქნებოდეთ მაშინ
ახალგაზრდაც
და ვიჩე ბეეიერსლეთი,
ხარეტდა
ქალიც, კაციც, ბავშვიც,
ცაში ფრენით
ეფეტრეტდეთ! მერცხლებს:
წყალს, რომ ეცვალეთ
ნელინადში ერთხელ,
პირს ვიბანდეთ
ნელინადში ერთხელ,
განაბეიით
ფარგალლობდეთ ერთხელ,
გაზს ეხმარობდეთ
ნელინადში ერთხელ!..
ო, რა კარგი
იქნებოდა ცხოვრება,
ო, რამდენი
გვეძნებოდა ქონება!

ვიდეო

გლახა რომ ვარ
(იმისთვის ვარ გლახა!),
ვისაც უნდა,

მლანძღავს, მთათხავს,
მლახავს!
სამსახურში
ყველა ეძებს სახრავს,
სახლში მიაქვს,
თუ წასაღებს ნახავს!
პატრონსანს და
საქმეში კეთილს
თვიდან თვემდე
არ მშორდება ვალი,
ბევრს ვიდეო
დაუფველდა, მე კი
ჯერ ვიდეო
არ მინახავს თვალით!

ილუსტრაციები
ჯ. ლილუაშვილი

ვაი-კოოპერატორის ალსარება, ანუ ფიქრები ჯდომისას

ადამის ძის ცდუნებას რა დიდი ამბავი უნდა? მით უმეტეს ისეთისას, მავნე ჩვევას ნაზიარევი რომ არის, სხვისი ჯიბის გემოც რომ იცის და სახელმწიფო ხაზინის სალაროშიც უფათურება ხელი, რაისთვისაც ვნებაც უწვნევია ბარე ორჯერ და ვირის აბანოც უხეხია. ჰოდა, ასეთ კაცს მომადგა ეშმა მოყვანის სახით.

— გახსენ კოოპერატივი! — შემომყივლა.

— ცოდვილი რომ ვარ? — მივუგე.

— ფული... — ალარ ინება აზრის განვრცობა. ბრიყვი თუ არ ვიყავი, უნდა მივმხვდარიყავ — ფულით მოინანიებაო ცოდვა.

მერედა, ფული ვინ მომაშავა-მეთქი, უხმოდ ვუთხარი. გამიგო, რას არ გამიგებდა, ჯიბიდან გავარდნილია, ოხერი.

— ფული კოოპერატივშია! — დაბეჯითებით განაცხადა.

— მერედა, მე რომ არც რესურსები გამაჩნია სამაგისო და არც ბაზა? დღეში ოცდაოთხი საათი ტელევიზორს ვუზივარ და ამდაგვარი რაშეები არ მეცოდინება, რაც იქიდან სიბრძნე იფრქვევა ამ საკითხზე?..

— ბაზა კი არა, სტრატეგიული პლაცდარმი არ მომინდომა? — გაიცინა ჩემმა დამრიგებელმა, — ათასი კოოპერატორიდან ორს არა აქვს, შე კაცო, ბაზა და რალა შენ იკლავ თავს?! გაჩნდება ყველაფერი. იყიდე ბაზარში ან სულაც სახელმწიფო მაღაზიაში და გაყიდე ორმაგად, ვინაა ხმის გამცემი?

— შენ რატომ არ გახსენი? — შევბედე. არ მიშვება გული ამ ახირებულ თამაშში ჩაბმას. გუმანით ვხვდები, ასეთი ზრახვით საქმის დაწყება სახელმწიფოს ჯიბეში ხელის ჩაყოფას რომ ნიშნავს. ამისთვის კი ვთქვი, რაც გადამხდა.

— ჩემი მდგომარეობის კაცისაგან კოოპერატივი?..

ისევ არ ინება ამბის დასრულება, — თავად მიხვდითო! ჰოდა, მივხვდი. რა დიდი მიხვედრა მაგას უნდოდა, ის ხომ ისეთი კაცი იყო, ვინც ავტომანქანის დეფიციტურ ნაწილებს აფთიაქში იძენს, მენაღესთან თვითმფრინავის ბილეთს აჩალიჩებს, ხოლო დამლაგებელთან პრესტიჟულ ტურისტულ საგზურებს შოულობს.

დამანერინა განცხადება და ერთ კვირაში მეახლა ისევ.

— ეს ბეჭედი! — თქვა და მაგიდაზე ქაღალდში გახვეული მრგვალი ბეჭედი დადო. — ეს კიდევ — საფირმო ბლანკები. პორტფელიდან დასტა-დასტად ამოალაგა პრიალა ქაღალდები თავსართიანი ნაბეჭდი ტექსტით: „ოცნების“ გამგეობის...“ და ასე შემდეგ.

— თავმჯდომარე შენ ხარ! — ქედმაღლურად გადმომხედა და გამიცინა. თავზე ხელი გადამისვა, მომეფერა, ლამის იყო, შვილად აევყვანე.

ამას რომ საქმიანობდა, მარიგებდა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. საცა იყო, დამელეოდა მოთმინება, მე მთავარს ველოდი, ეს კიდევ... და ჩაიყო, როგორც იქნა, გულის ჯიბეში ხელი. მომადგა პირწყალი, დამიელამდა თვალები, ბაგაბუგი გაუდის გულს...

— ესეც ხარჯების სია! — თქვა და ბლოკნოტიდან ამოხეული ფურცელი გადმომცა. — ერთი სიტყვით, ასეა, აქ წერია ყველაფერი! — მითხრა, თუმცა რაკი იცოდა, რომ მისი აჩხაბაჩხა ნაწერის გამრკვევი არ ვიყავი, თავად გაისარჯა. — აი ეს თანხა „იქ“ დამჭირდა! — ოთხნიშნა ციფრს დაუმიზნა თითი, — ესა კიდევ — კომისიაში, ეს — კომიტეტში, ესეც — სანეპიდსადგურში, ესა — ელექტრობაში, აი, ეს — მიმოსვლისა და მივლინებისა. ასე რომ, ბანკიდან სესხად გამოტანილი ოთხმოცი ათასიდან თოთხმეტი მანეთი და ოცდასამი კაპიკი დამრჩა. აი, ესეც! — პალტოს გარე ჯიბეში ჩაიყო ხელი და დაჭმუჭნილი ფული თავისი ხურდით მაგიდაზე დაყარა. — აბა, შენ იცი, გახსენი კოოპერატივი და ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ისევ ლიმილით დამამშვიდა.

კოოპერატივი არ გამიხსნია. მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი დამრიგებლის თქმისა არ იყოს, ბაზარში და სახელმწიფო მაღაზიაში ნაყიდის ორმაგად გაყიდვისათვის ჯერჯერობით მართლაც არც ერთი კოოპერატორი არ დაუჭერიათ, მაინც მეშინოდა. მოგეხსენებათ შეშინებულის არაკი, თუმცა განსაცდელს ვერა და ვერ გადავურჩი, აიმ ოთხმოცი ათასისთვის მომკითხეს, რომლიდანაც ჩემამდე თოთხმეტმა მანეთმა და ოცდასამმა კაპიკმა მოაღწია. მომკითხეს და ვზივარ ახლა წინასწარი გამოძიების ხალხმრავალ საკანში, ფრიად კეთილი ზრახვების მქონე საზოგადოებაში, ოთხ კედელს შორის და ვფიქრობ, იქნებ მართლა გამეხსნა კოოპერატივი, ჰა?

დავით ასკურავა



გესმათ ჩვენი კაკუნი!

ფელეტონი

მტერსა და ავის მნდომელს რა ესაქმება **ცაგერში, თორემ ამ სახლის შემხედვარეს** ნამდვილად თვალები დაუდგება. უცხო რამ მადლი აცხია, საუცხოოა თავისი სტილით და ამავე დროს აქაური, ძველქართული ჯილაც ადგას — ლეჩხუმური იერიც ახლავს და ამშვენებს.

მოკლედ, **რაიონული ცენტრი დაამშვენა დამპროექტებელ მურად მუკმანიანის** და **არქიტექტორ ჯონი ჩაკვეტაძის** ხორცშესხმულმა ჩანაფიქრმა, რომელიც საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭომ ააგო...

ასე ფიქრობს ყველა, ვინც უშუალოდ არ შესახლებულა ამ სახლში. ისინი კი, ვისაც წესითა და რიგით ერგებოდა და აქ ბინები დაიმკვიდრა, დღემდე თავბედს იწყევლიან. ჯერ იყო და ახალ ბინებს რემონტი დასჭირდა, მოგეხსენებათ, აქ კედელიაო შესალესი, იქ — კარ-ფანჯრები გამოსაცვლელი, საკეტები უვარგისი!.. ერთი სიტყვით, საოჯახო ბიუჯეტს გაუთვალისწინებელი ხარჯები „შეეწერა“, მაგრამ რა უჭირდათ ახალმოსახლეებს, საქმე ამით რომ დამთავრებულიყო. სწორედ იმ ორიგინალურობამ, რომლითაც ეს შენობა კეკლუცობს და სხვებისაგან გამოირჩევა, თავსატეხი გაუჩინა ხალხს: უცხოდ ნაგები პარაპეტები თოვლსა და წყალს აკავებს, ბეტონი რომ ბეტონია, ისიც ვერ უძლებს მოზღვავებულ ნალექს, ზედა სართულებში თხლიშინით შემოჭრილმა წყალმა საგულდაგულოდ ჩატარებული რემონტიც გააოხრა და ავეჯიც ზედ მიაყოლა, მერე ქვემოთ დაუყვა, ქვედა სართულებსაც დაატყო თავისი მსახვრალი ხელი!..

და სხედან სახურავზე, აგერ უკვე რამდენი თვეა, ხურონი, სხედან და უკაკუნებენ. აქ რომ გააკეთებენ, ახლა სხვაგან გაიკვლევს წყალი გზას და იქ უნდა გადაინაცვლონ (ძველი მშენებლების აზრით, თუ არქიტექტორების ქირურგიული ჩარევა არა, სხვა მხრივ საქმეს არაფერი ეშველება!).

მაშ ასე: მობინადრეთა გაჭირვებამ, ჯიბეებს რომ იბერტყავენ, და ხუროთა ჩაქუჩების კაკუნმა თბილისში „ნიანგის“ ყურთასმენას მიაღწია და დავიჯეროთ, იქვე, ცაგერში, გზის გადალმა ადმინისტრაციულ შენობამდე ვერ მიაღწია, სადაც ერთადაა მოთავსებული რაიონის ყველა რანგისა და რგოლის ხელმძღვანელობა?

„ნიანგის“ ჩიტკორესპონდენტი

გარითმული აზრები

ფულს რომ ვიშოვი
საკუთარ ტაქსით,
კოოპერატივ
„ანეკდოტს“ გავხსნი!

* * *

მოდით, მოვაწყოთ
კონკურს-თამაში
არაფორმალურ
შეგინებაში!

* * *

მოეშვა მიტო
სოფელში თოხნას,
ასფალტზე ფურთხვის
რეკორდი მოხსნა!

* * *

სიდედრმა იცის
ახლა „კანონი“:
მზითვის მაგიერ
მოგვცა ტალონი!..

* * *

აბა, რას მარგებს
მე ის „მარლბორო“,
ცოლმა რომ ღერი
თუმნად მაბოლოს?

იულონ ტოლიაშვილი
(ქ. ცხინვალი)



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

გამოცანები

რძეში ოთხმოცი პროცენტი,
ამბობენ, თურმე წყალია!..
ორმოცი ლიტრა დაასხა
წყალი ას ლიტრ რძეს ვალიამ.
ჩვენმა პატარა თინიკომ,
თქვით, როგორი რძე დალია?

* * *

საზღვარგარეთულ ფეხსაცმელს
თუ მამასისხლად ყიდიან,
სპეკულანტები საყიდლად
ნეტავი ვისთან მიდიან?

* * *

აქვს „ვოლგა“, არის სასახლის
და მილიონის პატრონი,
აქვს ბეჰემოთის თვალები,
ვინ არის?.. **(კომბინატორი).**

* * *

ერთი წუთის საქმისათვის
ერთი კვირა ვსდიე, მგონი,
სავარძელში იბღინძება
წარმოების... **(დირექტორი).**

გიორგი მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ვ. კუციასი

ირონიული კონგლომერატი

ᲘᲛ ᲭᲘᲠᲗᲐ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲬᲣᲡᲮᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲐᲠᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲐᲠ ᲒᲕᲙᲚᲔᲑᲘᲐ:

ინფლაცია, კორუფცია, კრიზისი, მანიფესტაცია, ნარკომანია, პროსტიტუცია, რეკლამაცია, სპეკულაცია, უმუშევრობა...

ᲝᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

1. ზოგიერთი კაბინეტის კარზე წარწერაა: „მშრომელთა მიღება ორშაბათობით 14-დან 20 საათამდე“; გეგონება, დანარჩენ დროს არამშრომელები მიიღებიან!..
2. პარტია ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავს, პარალელურად კი ფასების სახელმწიფო კომიტეტი... ფასების ამაღლებაზე!

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲑᲠᲔᲕᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ

ᲒᲐᲔᲠᲝ — გაყალბებული ეროვნულობა.
ᲡᲐᲖᲙᲕᲔᲑᲐ — საზიზღარი კვება.
ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ — საქალალდე მშენებლობა.
ᲡᲐᲮᲡᲛᲔᲜᲘ — სახალტურო მშენებლობა.

ᲘᲓᲔᲐ

„ყველაფერი ადამიანისთვის!“ — ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ შეევშვათ, რადგან არარეალურია, და ადამიანს ის მაინც გავუკეთოთ, რომ:

ა) გაჩერებებზე ავტობუსისა და ტროლეიბუსის შუა ᲬᲐ უკანა კარი გავუღოთ!

ბ) სახლმმართველობიდან ცნობის მიღებას ნუ დავამადლებთ!

გ) „07“ და „09“ მოვუნესრიგოთ!

დ) ნებაყოფლობით საზოგადოებებში მართლა ნებაყოფლობით გავაერთიანოთ!

ე) რძის პროდუქტებზე ფასები დავუმრგვალოთ, რომ მოლარემ ხურდაში ვერ მოატყუოს (იგულისხმება თვით რძე, აგრეთვე არაჟანი, მანონი, ხაჭო... ყველს, სანამ იშოვებოდა, ისედაც მრგვალი ფასი ᲰᲥᲝᲜᲓᲐ).

ასეთი ღონისძიებით მოგებული დარჩება სახელმწიფო!

თაბაზ ეგანოიძე

კამათი მედიცინასთან

ერთი საზომით ზომავთ მილიონს,
სისულელეა. სრული!
რომ გაიძახით — გული, გულიო,
ყველა კაცს თუ აქვს გული?

ფსიქოთერაპევტს — ნდობა სრულიო!
კვლავ სისულელე კრული!
რომ აიჩემეთ — სული, სულიო,
ვითომ ყველას აქვს სული?

ერთს არა ნიშნავს, არა, მრავალი
პაციენტი და ჰაცი...
იმის გარკვევა არის მთავარი,
ყველა თუ არის კაცი!

საყვედურნარევი ალსარება

დღემდე არ ვიცი,
რატომ ვერ მიტან,
დღემდე არ ვიცი,
გარეთ რად მხვეტავ?..
ზიხარ თბილად და
კაბინეტიდან
ყოველი ფეხის
ნაბიჯზე მხედავ!

მე წყნარად ვდგავარ
იმედის კართან
(ადრე თუ გვიან,
ვიცი, ამიტან!)
მაინც აგრძელებ
ჩუმ-ჩუმად თვალთვალს,
მიყურებ ასი
ჭუჭრუტანიდან!..

ხელს მკრავ, მიბიძგებ
და მაინც მელი!..
ერთს გეტყვი,
თუნდაც
წარმოვთქვა მწარედ:
მწამს: ბევრი შენი
თანამშრომელი
ყრუ ნახვრეტია
შიგნიდან გარეთ!

ᲞᲝᲔᲢᲘ

ბოლომდე უნდა ამოთქვა
შენ შენი სათქმელ-სანერი,
ნუ ითხოვ სულის ამოთქმას,
რახან ითავე, გაძელი,
რედაქტორობას გაგინევს
მხოლოდ დრო-ჟამის საცერი!

ᲘᲛᲘᲠ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

საშუალო სკოლის ატესტატი — იურიდიული დოკუმენტი რეპეტიტორების დასაქირავებლად.

საავადმყოფოს კარისკაცი — ავადმყოფთა მნახველებისაგან ფულის ამკრეფი.

„დინამოს“ სტადიონი — ვალიდოლის გასაღების საუკეთესო ადგილი.

გეგმა — ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის მხოლოდ წლის ბოლოს საკითხავი.

ᲠᲣᲑᲔᲜ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ

ᲥᲐᲚᲝᲒᲘᲖᲛᲔᲑᲘ

● **ᲜᲐᲮᲘ** ხელით თვითონ გამოჭედა თავისი ბედი, ოჯახის მაგიერ შექმნა ტრივიალური სამკუთხედი, მის ბლაგვ კუთხეში ყოველთვის ეგდო ქმარი, ხოლო მოპირდაპირე გვერდზე მახვილი კუთხიდან წამოსული საყვარლისთვის ედგა თბილი ბუდუარი.

● **ᲐᲚᲖᲔᲕᲔᲑᲐ** დაიწყო მუშტი-კრივით, ყლურწვით, ამბოხებით, ახლა მდგომარეობას იფერებს სმითა და სიგარეტის ნევით, ხმის დაბოხებით.

● **ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ** კანონებს სახლში მხოლოდ ქმრისთვის ადგენს, გარეთ კი თვითონ გაბარიტებიდან აწეულ შიშველ საშიშროებას წარმოადგენს.

● **ქმარი** დიეტაზე ჰყავს, კვებავს არაკეებით, ცერცვით, ბრინჯით, თვითონ კი არაერთხელ იგემა მრუშობისა და სიძვის სინჯი.

● **ᲨᲘᲜ** შვილის მონატრულ ქმარს აძლევდა „ფახებს“, გარეთ კი მისი ფულით ამდიდრებდა აბორტმახერს.

● **ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲨᲘ** ანდაზის სიბრძნეს ვერ იგებდა, შინ ბალღი უტირიოდა, გარეთ ტაბლას არიგებდა.

● **ᲧᲣᲠᲔᲑᲘ** ჯერ გაუხვრეტავი ჰქონდა და სახეც ანგელოზის მსგავსი, მაგრამ გახვრეტილი კაპიკი იყო მისი ფასი.

როყიოდ ნათქვამებიდან ქალოგიზმები აანყო
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲔᲚᲒᲣᲯᲐᲣᲠᲛᲐ

ᲢᲐᲢᲣᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ

მკერდზე წასაწერი (საშური საქმეა. მკერდის დაჩიავებამდე უნდა მოასწროთ):

კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, ბოლოს მაინც არის... სხვისა!

მარცხენა მკლავზე წასაწერი (ზემოდან ქვემოთ, ვენა არ დაიზიანოთ):

ქართლ-კახეთი, იმერეთი და... ვენა!

გულის წვერზე წასაწერი (თუ შემხმარი არ არის):

ყაყაჩომ კანაფით ჩამოიხრჩო თავი. შენ?

მარცხენა ფეხზე წასაწერი (სხვა ადგილზე არ შეიძლება):

იქნება ვეფხვის დედაი... იცინის!

მარჯვენა ფეხზე წასაწერი (სხვა ადგილზე არ შეიძლება):

შვილმა გული გაიარა. შვილიშვილს... ალარაფერი ჰქონდა გასავლელი!

ბეჭებზე წასაწერი (ბეჭებზე არ წამოწვეთ, რომ წაკითხვა შეიძლებოდეს):

ნეტავი, გოგო, მე და შენ, ყანები მოგვცა... ჩრდილო კავკასიაში!

ტვინზე წასაწერი გასახსენებლები (თუ აღმოჩნდა ასეთი):

მორფი. ცოფი. შოლტი. მორგვი.

ალიტერაცია ჰაშიშის მოტივებზე (წარწერა საჭირო არ არის. ისედაც იკითხება შუბლზე):

იაშამ, ნატაშამ იშუშპრეს ანაშა.

პროფესიული პალინდრომი: **აიპარეთ. თერაპია.**

ᲑᲔᲒᲚᲐᲠ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

№ 256
34.IV 89

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნიანგს" უპასუხებს

საქართველოს კპ თელავის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბენდიანიშვილი:

„ჟურნალ „ნიანგის" 1989 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონის „აჯაფსანდლის" პასუხად გაცნობებთ, რომ თელავის სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლებს შორის კონფლიქტურ დამოკიდებულებას ადგილი ჰქონდა კულტსახლის დირექტორად ჯერ კიდევ დ. ჭანკოტაძის დანიშვნამდე და გრძელდებოდა წლების განმავლობაში, რაც განპირობებული იყო ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის ნ. აბულაშვილის არაჯანსაღი ურთიერთობით დირექციის წარმომადგენლებსა და კულტსახლის ცალკეულ თანამშრომლებთან, რის გამოც კულტსახლის დირექცია იძულებული გახდა სამხატვრო ხელმძღვანელი ნ. აბულაშვილი გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან. განთავისუფლება მოხდა შრომის კანონმდებლობის სრული დაცვით, ამიტომ მისი პროტესტი სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების თაობაზე მიზანშეუწონლად ჩათვალეს კულტურის მუშაკთა რესპუბლიკურმა პროფკავშირმა, თელავის სახალხო სასამართლომ და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ.

მიგვაჩნია, რომ ფელეტონის ავტორები ტენდენციურობას ამჟღავნებენ კულტურის სახლის დირექტორის ამხ. ჭანკოტაძის მიმართ, როდესაც აცხადებენ, რომ კულტურის სახლში არავითარი კულტმასობრივი მუშაობა არ მიმდინარეობდა, რადგან ქალაქისა და რაიონის ფარგლებში ჩატარდა ბევრი საინტერესო ღონისძიება, რომელთა შესახებ არაერთხელ აღინიშნა როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ პრესაში.

რაც შეეხება პრეტენზიას სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მიმართ, არასწორია, ვინაიდან აბულაშვილი 1988 წლის 1 აპრილიდან დანიშნულია საქალაქო კულტურის სახლის დირექტორად და მუშაობისათვის შექმნილი აქვს ყველა საჭირო პირობა".

ნახ. მ. აბაშიძისა

— რა ვქნათ? ორი ნული თუ არ მივუწერეთ, გეგმა გვივარდება!..

— მიუწერე მერე! არ იცი, გეგმის ჩაგდებას რომ არ გვაპატიებენ?!.

ასენ ბოსევი

(ბულგარეთი)

ინსტრუქტაჟი

ჩამოვიდა ინსტრუქტორი სოფლად,
დაანია გლეხებს ერთი ყოფა:
„სამწუხაროდ, დროს ამაოდ კარგავთ,
მიყრუება საქმის როდი ვარგა!
ქერი რატომ არ დაბარეთ ნეტავ?!.
აი, ჭვავსაც შეუნამლავს ვხედავ!..
ერთხელაც კი არ მოგირწყავთ შვრია,
თავთავები თავს უმწეოდ ხრიან!..
მოსავალი მოიწევა გვიან!!!
რაღა გითხრათ, თქვენც გლეხები გქვიათ!"

ავტორიტეტის შექმნა

იფხორება ისე, როგორც ინდაურის მოდგმა,
„გამარჯობას" შესძახებ და თავს დაგიქნევს ოდნავ.
ანდა შენდა უნებურად, ვთქვათ და, რამე ჰკითხე,
მდუმარედ და მედიდურად ცხვირს აიშვერს ცისკენ!..

იგი ამგვარ ყოფაშია განუწყვეტლივ, თითქმის,
აქვს ყელამდე საზრუნავი, ავტორიტეტს იქმნის!

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 8 (1786) აპრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი). ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 20. 03. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 04. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 674. უე 04660. ტირაჟი 129 000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

7-83
89-256

ნახ. მ. აბაშიძისა

— შენ კი გენაცვალე, შენ!.. მგონი, გვეშველა!.. ხომ აგვიყვან იჯარით?..